პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 4 თებერვალი, 1942 წ. № 29 (6345). ფასი 15 კაპ.

წითელი არმიის მებრძოლის სიყვარული მეთაურისადმი

წითელი არმიის გმირული ბრძოლა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ წარმოებული სამამულო ომის ფრონტებზე დღითიდღე უფრო და უფრო მეტ სახელს უხვეჭს საბჭოთა იარაღს. საბჭოთა მეომრების მაღალ საბრძოლო თვისებებს, მათს მედგრობასა და შეუპოვრობას ბრძოლაში, მათს ვაჟკაცობასა და მამაცობას, მათს გულადობასა და თავგანწირვას აღტაცებაში მოჰყავს მთელი მოწინავე კაცობრიობა.

ამხანაგი სტალინი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIV წლისთავზე გაკეთებულ მოხსენებაში ამბობდა:

„ლენინგრადისა და მოსკოვის დაცვა, სადაც ჩვენმა დივიზიებმა ამას წინათ გერმანელთა სამი ათეული კადრის დივიზია გაჟლიტეს, გვიჩვენებს, რომ სამამულო ომის ცეცხლში იჭედებიან და უკვე გამოიჭედნენ ახალი საბჭოთა მებრძოლები და მეთაურები, მფრინავები, არტილერისტები, ნაღმმტყორცნელები, ტანკისტები, ქვეითნი, მეზღვაურები, რომლებიც ხვალ გერმანელთა არმიის რისხვად გადაიქცევიან“.

მოვლენათა მთელმა მიმდინარეობამ მთლიანად და სავსებით დაადასტურა ამხანაგ სტალინის სიტყვები. საბჭოთა ჯარების შეუპოვრობამ და გმირობამ შეაჩერა ფაშისტთა ურდოების წინსვლა. გერმანელ ფაშისტთა ბანდებმა ვერ მიაღწიეს უმნიშვნელოვანეს ცენტრებს, რომელთა დაპყრობაც მათი შემოტევის ძირითად მიზანს შეადგენდა. წითელი არმიის მამაცმა მეომრებმა ალაგმეს მტერი, ინიციატივა გამოჰგლიჯეს მას ხელში. ფრონტის უმნიშვნელოვანეს უბნებზე ფაშისტთა ჯარები დამარცხებულია და ისინი იძულებული არიან უკან დაიხიონ ჩვენი ნაწილების შეტევის გამო. მტერმა სერიოზული დარტყმები იგემა. მაგრამ მას ჯერ კიდევ შერჩა ძალა, უკანდახევისას იგი კონტრიერიშებზე გადმოდის, თავს იძვრენს, ცდილობს წესრიგში მოიყვანოს შებერტყილი პოლკები და დივიზიები, დრო მოიგოს და კვლავ დაგვატყდეს თავს.

წითელი არმიის გამარჯვებათა ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობა მისი მაღალი პოლიტიკურ - მორალური მდგომარეობაა. წითელმა არმიამ თავისი სისხლით განამტკიცა საბჭოთა ხალხისადმი, მთავრობისადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულება. წითელი არმია საბჭოთა ხალხის პირმშოა. იგი თავისი სამშობლოს ერთგულია, როგორც თავისი დედის შვილი. ამ არმიის მებრძოლებსა და მეთაურებს ხალხი ყოველმხრივ დახმარებას უწევს. მათ არასოდეს არ დაუკარგავთ მტერზე საბოლოო გამარჯვების რწმენა.

ჩვენი იარაღის წარმატების რწმენა დიდი ძალაა. ეს რწმენა მხნეობას უნერგავს ადამიანებს, დიდი ვაჟკაცობის, მამაცობისა და გმირობისათვის აღაფრთოვანებს მათ. მაგრამ რას ნიშნავს თავისი იარაღის გამარჯვების რწმენა? ეს, უწინარეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ უსაზღვრო რწმენა გქონდეს შენი მეთაურისა, შენი კომისრისა, რომელნიც მთავრობისა და ბოლშევიკური პარტიის წარმომადგენლები არიან არმიაში. საბრძოლო ვითარების ვერავითარი სიძნელენი, ვერავითარი გაჭირვება და სიდუხჭირე ვერ შეარყევს მებრძოლთა რწმენას მეთაურისადმი, რომელიც პატიოსნად ასრულებს სარდლობის ბრძანებებს მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე.

წითელი არმიის მებრძოლთ უყვართ თავიანთი მეთაურები. ბრძოლის ასპარეზზე, გააფთრებული შებმის დროს, არტილერიის გრიალსა და ტყვიამფრქვევის ხშირ კაკანში ისინი კიდევ უფრო მეტი პატივისცემით გაიმსჭვალნენ თავიანთი ხელმძღვანელების, თავიანთი აღმზრდელებისადმი. ჩვენი მეომრების ხსოვნაში არასოდეს არ ალმოიფხვრებიან მათი საყვარელი მეთაურები, რომელთა წინამძღოლობითაც ბრძოლაში მიდიან ისინი და იმარჯვებენ. გავა დრო, ჩადგება უდიდესი ბრძოლების გრიგალი, გაიფანტება სისხლისმღვრელი ბრძოლების ცეცხლის კვამლი, გადასწორდება სანგრები, ხვრელები და ყუმბარებითა და ბომბებით ამოთხრილი ორმოები, ბალახი დაჰფარავს ბრძოლის ველებს, მაგრამ მებრძოლის ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება მეთაური, რომელშიც იგი საბჭოთა სამშობლოს ნება-სურვილით, სარდლობის ნება-სურვილით წითელი არმიის ნაწილის თუ ქვეგანაყოფის სათავეში დაყენებულ მებრძოლ ხელმძღვანელს ხედავდა.

წითელი არმიის მეომრების ხსოვნაში მრავალი წლის მანძილზე დარჩება ვაჟკაცური სახე მეთაურის, საბჭოთა კავშირის გმირის, პოლკოვნიკ ა. კრასნოვისა, რომლის წინამძღოლობითაც მათ არაერთხელ გაურეკიათ ფაშისტთა ურდოები და თავზარი დაუციათ მათთვის. წითელარმიელები არ დაივიწყებენ, რომ კრასნოვის მეთაურობით ისინი ურტყამდნენ ყოყოჩ გერმანელებს, რომელთაც ათობით კილომეტრზე მიერეკებოდნენ, დამპყრობთაგან სწმენდდნენ საბჭოთა ქვეყანას და მტრის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას სპობდნენ.

ტანკისტები დიდხანს არ დაივიწყებენ თავიანთ მეთაურს, უფროს ლეიტენანტ ლავრინენკოს, რომლის წინამძღოლობითაც მათ არაერთხელ მიუტანიათ გაბედული იერიში მტერზე და გაუმარჯვნიათ. ისინი არ დაივიწყებენ, რომ მათმა ეკიპაჟმა მოსკოვის მისადგომებზე მტერთან ბრძოლის დროს ფაშისტთა რამდენიმე ათეული ტანკი და ორ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი მოსპო. ტანკისტები არ დაივიწყებენ ამხ. ლავრინენკოს თავდადებას, მის გამძლეობას, სიმტკიცესა და სიმკაცრეს საბრძოლო ვითარებაში.

განა წითელარმიელ კოლუპანოვს შეუძლია დაივიწყოს თავისი მეთაური, უმცროსი ლეიტენანტი სუროვი? ერთერთ ბრძოლის დღეს უმცროსი ლეიტენანტი სუროვი და წითელარმიელი კოლუპანოვი დასაზვერავად წავიდნენ. ისინი მოწინააღმდეგის ზურგში შეიპარნენ, მაგრამ მტერმა შენიშნა და სროლა აუტეხა. მტრის სანგრების ახლოს თოვლში დაეცა მძიმედ დაჭრილი მეთაური. მებრძოლმა კოლუპანოვმა ფრთხილად წამოიკიდა იგი ზურგზე და თავისიანებისაკენ გახოხდა, მაგრამ ისიც დასჭრეს. ჩვენი მოწინავე პოზიციებიდან ნახევარ კილომეტრზე თოვლით დაფარულ ველზე იწვა ორი დაჭრილი საბჭოთა მეომარი. გონს რომ მოვიდა, უმცროსმა ლეიტენანტმა სთხოვა მზვერავს, დამტოვე და, თუ ძალა შეგწევს, უკან გახოხდი და ჩვენებს დაზვერვის შედეგი მოახსენეო. კოლუპანოვმა უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია. შეიხვია ჭრილობა, სუროვსაც შეუხვია, ხელით ამოთხარა თოვლში სანგარი, სანგრის ბრუსტვერში სათოფურები გააკეთა და მარჯვე სროლით მოიგერია გერმანელთა 6 იერიში. შაშხანის ვაზნები უკვე გამოლეული ჰქონდათ, როდესაც სანგარს წითელარმიელი ბოჩარნიკოვი მიადგა; მან ბრძოლის ველიდან გამოიყვანა ორი გმირი-მებრძოლი და მეთაური.

ასეთი მაგალითი უამრავია. ისინი ახასიათებენ მეთაურისა და მებრძოლის ახლობლობას, მათი მოქმედებისა და მისწრაფების ერთიანობას. მეთაურისათვის თავის დასადებად მზადყოფნა სინამდვილე გახდა, რასაც საბჭოთა მეომრების მიერ ბრძოლის ველებზე ჩადენილი ურიცხვი გმირობა ადასტურებს.

„არმიის მაღალი პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობა მტერზე გამარჯვების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა... ომის ისტორიაში არ მოიპოვებიან საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი სარდლები, რომ თავიანთი ჯარის საყვარელი ადამიანები არა ყოფილიყვნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოში ცნობილი სარდლები მარტო სტრატეგიის და ტაქტიკის ოსტატები როდი იყვნენ. არა, მათ იცოდნენ, თუ როგორ შეეყვარებინათ თავი თავიანთი ჯარისკაცებისათვის, თავიანთი არმიისათვის. ისინი ჯარების დიდი მხნეობის ოსტატები იყვნენ, თავისადმი მტკიცე ნდობას უნერგავდნენ ჯარისკაცს“ (მ. კალინინი).

საბჭოთა ხალხმა წარმოშვა სამხედრო საქმის გამოჩენილი ოსტატები, ნიჭიერი, განათლებული, უნარიანი ხელმძღვანელები, რომელთაც იციან როგორ შეაყვარონ თავი მებრძოლთ და რომელნიც ამ მებრძოლთა სრული ნდობითა და პატივისცემით სარგებლობენ. ისინი თავიანთი სახელოვანი წინაპრების მსგავსად ჯარების დიდი მხნეობის ოსტატები არიან. წითელი არმიის მეთაურებმა, რომელნიც სათავეში უდგანან ნაწილებსა და ქვეგანაყოფებს, ხალხისა და წითელი არმიის ბელადის — ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით დარაზმეს და საბრძოლო წესრიგზე დააწყეს არმია მუხანათი მტრის შემოტევის დროს. მათ აქტიური თავდაცვით მოჰქანცეს, სისხლით დასცალეს მტერი, ჩაშალეს მისი შემოტევა, გაანადგურეს და დასავლეთისაკენ გარეკეს მისი დამკვრელი დაჯგუფებანი, ამასთან თვითონ ბრძოლის ინიციატივას ინარჩუნებენ.

ჩვენი ამოცანაა გაბედულად განვავითაროთ შეტევა, სული არ მოვათქმევინოთ მტერს, წავართვათ მას ყაჩაღობის საშუალება—გავჟლიტოთ მისი პოლკები და დივიზიები, მოვსპოთ მისი სამხედრო ტექნიკა. ურღვევი ნებისყოფა — გავანადგუროთ ჰიტლერის არმია, გავწმინდოთ ჩვენი ქვეყანა მხეცი ფაშისტებისაგან — აერთიანებს წითელარმიელებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს ერთ ფოლადის მუშტად, რომელიც ანადგურებს ყველა დაბრკოლებას ისტორიის მიერ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების შესრულების გზაზე.

წითელი არმიის მეომრები მთელ მსოფლიოს ისეთ ძალად მიაჩნია, რომელსაც უნარი შესწევს მოსპოს გერმანელ დამპყრობთა მძარცველი ურდოები. წითელარმიელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, იყავით იმ დიადი განმათავისუფლებელი მისიის ღირსნი, რომელიც წილად გხვდათ! წინ, გამარჯვებისაკენ ლენინის დიადი დროშით, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით!

„პრავდის“ მოწინავე, 3/II.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის შემადგენლობაში დამატებით შეყვანილი არიან ამხ. ა. ი. მიქოიანი და ნ. ა. ვოზნესენსკი.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ამხ. ა. ა. ნოვიკოვი დანიშნულია წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა სარდლის პირველ მოადგილედ და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ამხ. ი. ფ. პეტროვი წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა სარდლის მეორე მოადგილედ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

3 თებერვლის დილის ცნობა

2 თებერვლის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები აქტიურ მოქმედებას განაგრძობდნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ.

* * *

3 თებერვლის საღამოს ცნობა

ჰიტლერელები ფინელ ხალხს აშინებენ

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

მივცეთ სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირი!

სამშობლო, ფრონტი მეტსა და მაღალხარისხოვან ქვანახშირს მოითხოვს. ჩვენში არ უნდა იყოს არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო. ეს განსაკუთრებით ეხება ქვანახშირის მრეწველობას, ეს განსაკუთრებით ითქმის საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში.

კომუნისტები მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლაში

საწარმოო თათბირი ტყიბულის მაღაროებში

სერიოზული მიღწევა

გამოწვევა მიღებულია

ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევხვდეთ წითელი არმიის XXIV წლისთავს

იბრძვიან ვალდებულებათა შესრულებისათვის

ბ. მერკვილაძე

ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება

სამამულო ომის ფრონტებზე

„მეჩირაღდნენი"

დასავლეთის ფრონტი, 1 თებერვალი (საკდესის სპეციალური კორესპონდენტისაგან). ჩვენ წინ დგას 4 გერმანელი „მეჩირაღდნე", რუსეთის ქალაქებისა და სოფლების 4 ცეცხლისწამკიდებელი — ობერ-ეფრეიტორი შპიცჰავერი, ეფრეიტორები — ბლაზიუს ზანდმაიერი, იოსებ ვალვერი და ავგუსტ ეგერი. დღეს დილით ისინი სოფელ ლ-ში შეიპყრო ქვეითი ჯარის მზვერავთა რაზმმა. გერმანელთა ნაწილი საბჭოთა ჯარების დადევნების შიშით წინა ღლით გაიქცა აქედან. ეს 4 კაცი აქ დასტოვეს, რათა შეესრულებინათ ჰიტლერელთა სარდლობის საშინელი ბრძანება გერმანიის არმიის მიერ დატოვებული დასახლებული პუნქტების „უდაბნოს ზონად" გადაქცევის შესახებ. მაგრამ ბარბაროსებმა სოფლის გადაწვა ვერ მოახერხეს. მათ საბჭოთა მზვერავებმა და კოლმეურნეებმა წაუსწრეს.

ბნელი უვარსკვლავო ღამე იყო. წყვდიადში ოთხ ყაჩაღს ხელში ჩირაღდნები ეჭირა, ერთი სახლიდან მეორესთან მიდიოდნენ, კედელს ნავთს ასხამდნენ; ცეცხლს უკიდებდნენ კედელს, ჩალას ანთებდნენ და გზას განაგრძობდნენ. თავზარდაცემული გლეხები სახლებიდან გამორბოდნენ; სუსხიან ჰაერში გაისმოდა შემაძრწუნებელი ყვირილი და ხვეწნა-მუდარა შვილის შესახებ. ერთ-ერთმა კოლმეურნემ ვედროს ხელი წამოავლო და ჭისაკენ გაიქცა, მაგრამ როცა იგი აგიზგიზებული ხანძრის ჩაქრობას ცდილობდა ვეროდიდან გერმანელთა ავტომატმა სროლა ატეხა და განგმირული კოლმეურნე იქვე დაეცა.

მზვერავები რომ სოფელში შეიპარნენ, „მეჩირაღდნეები" ჯერ კიდევ თავიანთ ჯოჯოხეთურ მუშაობას ეწეოდნენ. მზვერავებმა გადასწყვიტეს ცოცხალი ჩაეგდოთ ხელში ცეცხლის წამკიდებლები. გლეხებმა რომ საბჭოთა მებრძოლები დაინახეს, მათთან ერთად ალყა შემოარტყეს გერმანელებს. გერმანელები ცდილობდნენ სროლით გაქცეულიყვნენ, მაგრამ ოთხივე შეპყრობილ იქნა. მათ მხოლოდ ოთხ სახლს წაუკიდეს ცეცხლი.

ვინ არიან ეს ადამიანები, რომლებმაც ადამიანური სახე დაჰკარგეს? ეფრეიტორი ზანდმაიერი, რომელიც უაზრო გამომეტყველებით დაჰყურებს იატაკს და ამბობს:

— ჩვენ ბრძანებას ვასრულებდით...

როგორც დაკითხვისას განაცხადეს ტყვეებმა, გერმანელთა სარდლობამ ყველა ნაწილში შექმნა „მეჩირაღდნეთა" — ცეცხლის წამკიდებელთა სპეციალური რაზმები. ეს რაზმები ყველაზე უფრო თავზე ხელაღებული ყაჩაღებისაგან შეარჩიეს. ნაწილის ტანსაცმლით შემოსვის დროს „მეჩირაღდნეებს" უპირატესობა ეძლევათ სხვა ჯარისკაცებთან შედარებით. ამ ოთხეულს პილოტურებს შიგნით ქალის თბილი თავსაფრები ჰქონდათ, ბამბის საზურგე და ტრიკოტაჟის ხელთათმანები ეცვათ. ტყავის ფეხსაცმელი ფეხზე შემოკრული ჰქონდათ ტელეფონის ზონრით შეხვეული ძონძებით.

კოლმეურნეები მრისხანე სახითა და დიდი სიძულვილით უცქეროდნენ გერმანელ ცეცხლისწამკიდებლებს.

— რას იტყვი, შე არამზადა, შენ სახლს რომ ცეცხლი წაუკიდონ და ცოლშვილი ყინვაში გამოგიყარონ? — ჰკითხა ერთმა გლეხმა ქალმა.

მთარგმნელმა კითხვა გადათარგმნა. გერმანელი სდუმდა. ან რა შეეძლო ეპასუხნა ამ წყალწაღებულ ზვლელს, მოძალადესა და ცეცხლისწამკიდებელს.

ი. დენისოვი.

რგოლის მექანიკოსი ამხ. ავეაშვილი

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

გაზეთი „სტალინსკი სოკოლი" სწერს: „საუკეთესო ადამიანებს, რომლებმაც სიმამაცე და გმირობა გამოიჩინეს გერმანელ ფაშისტებთან ბრძოლაში, შეაქვთ განცხადებები ლენინ-სტალინის პარტიაში მიღების შესახებ. მხოლოდ უკანასკნელი ორი-სამი კვირის განმავლობაში, იმ ნაწილებში, სადაც პოლიტგანყოფილების უფროსად ამხ. სოლოვიოვია, პარტიაში წევრებად და წევრობის კანდიდატებად მიღებულია 112 კაცი. ახლად მიღებულთა შორის არის რგოლის მექანიკოსი ამხ. ავეაშვილი.

თავის განცხადებაში ამხ. ავეაშვილი სწერს: „ჰიტლერელ ბანდიტებთან დაძაბული ბრძოლების დღეებში მინდა ვიყო კომუნისტი, არ დავზოგო ჩემი ძალ-ღონე და ხელი შევუწყო ფაშისტების სრულ მოსპობას".

და მართლაც სამამულო ომის პირველ დღეებიდანვე მექანიკოსი ავეაშვილი მუშაობის სამაგალითო ნიმუშებს გვიჩვენებს. იმ მანქანებით, რომლებსაც ამხ. ავეაშვილი ემსახურება, მფრინავებმა ასზე მეტი საბრძოლო გაფრენა მოახდინეს. ისინი ყოველთვის კარგ შეფასებას აძლევენ თვითმფრინავების მატერიალური ნაწილის მუშაობას.

ვ. ყარა-მურზა.

მოსაზრებულობა და ვაჟკაცობა

კალინინის ფრონტი, 3 თებერვალი (საკდესის სპეციალური კორესპონდენტისაგან). სოფელ ჩ-ს მისადგომს მტრის მიწური საცეცხლე წერტები ეღობებოდა. გარდა ამისა, თვით ადგილმდებარეობაც თავდაცვისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო. ამის მიუხედავად, ჩვენმა ქვეგანაყოფმა სოფელი მაინც სწრაფად აიღო. ბრძოლის წარმატება გადასწყვიტა გაბედული მეომრების ჯგუფის მოსაზრებულობამ და მამაცობამ, რომლებსაც წითელარმიელი ვესელოვი მეთაურობდა. ეს ჯგუფი სოფელს მიეპარა, „ურას" გრიალით ქარივით შეიჭრა მის განაპირა უბნებში და ხელყუმბარებისა და ავტომატების გრიგალისებრი ცეცხლი გააჩაღა. გერმანელებმა უეცარ დარტყმას ვერ გაუძლეს და თავზარდაცემული გაიქცნენ. ამასთან დასტოვეს 2 ნაღმსატყორცნი, ტყვიამფრქვევი, 2 რადიოსადგური და ბევრი საომარი მასალა. ამ ბრძოლაში წითელარმიელმა გიორგი ულიბიშევმა ხელთ იგდო მტრის ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი, სწრაფად მიაბრუნა ფაშისტების წინააღმდეგ და გაანადგურა სახლი, რომელშიც გერმანელები იყვნენ, ხოლო როდესაც გერმანელებმა გაქცევა იწყეს, რამდენიმე მარჯვედ გასროლილი ყუმბარით გასწყვიტა გაქცეულ ჰიტლერელთა მთელი ჯგუფის ნახევარზე მეტი.

მ. კორიავიჩევი.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პლენუმები

სტალინის რაიონი

შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის სახელობის რაიკომის მორიგი პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: 1. სამამულო ომის ვითარებაში რაიონის წარმოება-დაწესებულებებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შესახებ, 2. თბილისის სტალინის სახელობის რაიონში პარტიაში მიღების ანგარიში 1941 წლის 29 აპრილიდან 1942 წლის 3 თებერვლამდე.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ლოლაძემ.

რაიონის წარმოება-დაწესებულებათა პარტიულმა ორგანიზაციებმა დროულად იწყეს მუშაობის გარდაქმნა სამამულო ომის ვითარებასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც მოწინავე საწარმოებმა—მაუდ-კამვოლის ფაბრიკამ, ტრამვაის სახელოსნოებმა და სხვ. გადაჭარბებით შეასრულეს გეგმით გათვალისწინებული დავალებები.

მაგრამ არიან პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. ამხ. ლოლაძემ გააკრიტიკა კალინინის სახელობის ქარხნის, მეტალურგიულ ხელსაწყოთა და სპილენძსადნობი ქარხნების პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ დააყენეს სათანადო სიმაღლეზე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. ამის გამო ისინი ყოველთვის ვერ ასრულებენ მიცემულ დავალებებს.

ამხ. ლოლაძის მოხსენების ირგვლივ სიტყვებით გამოვიდნენ: ამხ. ნ. გრიგორიევი, ლ. ლალიაშვილი, ე. არუთინოვი, გ. ალანია, ტ. ლოხოვი, ლ. მიკირტუმოვი და სარქისოვი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. გეგორქიანი. 1941 წლის 29 აპრილიდან 1942 წლის 3 თებერვლამდე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის სახელობის რაიკომმა პარტიის წევრებად მიიღო 175 კაცი, კანდიდატებად—106. მიღებულთა შორის მრავალია სამამულო ომის დროინდელი სტახანოველები — ორასოვნები და სამასოვნები, მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის გამოჩენილი წარმომადგენლები. მაგრამ ზოგიერთ ორგანიზაციაში ნაკლები ყურადღება ექცევა პარტიაში მიღების საქმეს.

მეორე საკითხის შესახებ კამათში გამოვიდნენ: ამხ. ს. გურგენაძე, ე. ბერუჩაშვილი, ი. პანკოვი, ნ. ბაკლაკი, შ. ქასრაშვილი.

დღის წესრიგის ორივე საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო რეზოლუციები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. გოჩაშვილი.

ორჯონიკიძის რაიონი

3 თებერვალს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის XI პლენუმი. პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები: რაიონის საწარმოებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დაყენება სამამულო ომის პირობებში; ანგარიში 1941 წლის 1 აპრილიდან 1942 წლის 1 თებერვლამდე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიონში პარტიაში მიღების შესახებ.

პლენუმის დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი ამხ. პ. მჭედლიძე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დაწყების დღიდან რაიონის საწარმო-დაწესებულებების პარტიულმა ორგანიზაციებმა ადგილებზე კიდევ უფრო გააუმჯობესეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, რის შედეგადაც რაიონის საწარმოთა უმრავლესობა ძირითადად კარგად მუშაობს, ასრულებს საწარმოო გეგმებს და, რაც მთავარია, ეხმარება ფრონტს დავალებათა დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულებაში. მომხსენებელმა გააკრიტიკა იმ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ გარდაჰქმნეს თავიანთი მუშაობა დიდი სამამულო ომის პირობებში.

მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ზაქარეიშვილმა, ზურილიდომ, ტომასოვმა, გუნიამ, სამუნჯიანმა, მშვენიერაძემ, შაქარაშვილმა, ჩიხლაძემ, ტურიაშვილმა და ფუჩმა.

პლენუმის დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგემ ამხ. ნ. ლორთქიფანიძემ.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომმა X პლენუმის შემდეგ გააუმჯობესა მუშაობა პარტიაში მიღების დარგში. პარტიაში მიღების დროს დაცული იყო ინდივიდუალური შერჩევის ლენინურ-სტალინური პრინციპი. პარტიაში მიღებულ იქნენ მოწინავე ადამიანები, სტახანოველები, ორასოვნები, სამასოვნები, მეცნიერი მუშაკები და სხვ. საანგარიშო პერიოდში საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიღებულია 169 ამხანაგი, საქ. კ. პ. (ბ) წევრად — 223 ამხანაგი.

მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე ის ნაკლოვანებები, რომელთაც პარტიაში მიღების დროს ადგილი ჰქონდა ზოგ საწარმო-დაწესებულებების პარტორგანიზაციებში.

დღის წესრიგის მეორე საკითხის ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ზახტაძემ, ქაბრაკიამ, ბოლქვაძემ და ესებუამ.

პლენუმმა ორივე საკითხის გარშემო მიიღო სათანადო ღონისძიებები. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ჩირქიზიამ.

ბერიას რაიონი

გუშინ თბილისის საბჭოს წითელ დარბაზში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ბერიას სახელობის რაიკომის მორიგი IX პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში იდგა სამი საკითხი: 1. რაიონის საწარმოებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების შესახებ ომის პირობებში, 2. ანგარიში 1941 წლის 1 აპრილიდან 1942 წლის 25 იანვრამდე ბერიას სახელობის რაიონულ პარტორგანიზაციაში პარტიაში მიღების შესახებ და 3. საორგანიზაციო საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ბერიას სახელობის რაიკომის მდივანი ამხ. დ. ხანთაძე, რომელიც ვრცლად შეეხო რაიონის საწარმოების მუშაობას და აღნიშნა მთელი რიგი დეფექტები, რაც ჯერ კიდევ ახასიათებს რაიონის ზოგიერთ საწარმოს. ამხ. ხანთაძემ აღნიშნა, რომ ზოგიერთი საწარმო სამამულო ომის პერიოდში ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს. ასეთია, მაგალითად, მოლოტოვის სახელობის ავეჯეულობის ფაბრიკა. აღნიშნულ ფაბრიკაში ცუდად არის დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური და სააგიტაციო მუშაობა. ზოგიერთ საწარმოში ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დარღვევას, მანქანა-იარაღებისადმი გაუფრთხილებლობის ფაქტებს და სხვ. მოხსენების ირგვლივ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ნოვიკოვი, დოლიძე, ბუჯიაშვილი, ალექსანდროვი, შესხი, ხუბუა, მახარაძე, კალანდაძე და ავაქოვი.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგემ ამხ. ხოსროევამ, რომელმაც აღნიშნა, რომ 1941 წლის აპრილიდან 1942 წლის 25 იანვრამდე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ბერიას სახელობის რაიკომის მიერ პარტიის რიგებში მიღებულია წევრობის კანდიდატად 125 კაცი და წევრად — 348 კაცი. აღნიშნულ საკითხზე კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: სტეფანიშვილი, გუგუნაშვილი, ლუბენსკაია, ლემონჯავა და ჭუმბურიძე.

პლენუმმა როგორც პირველ, ისე მეორე საკითხზე მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი.

განხილულ იქნა აგრეთვე საორგანიზაციო საკითხები. სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო პლენუმმა ბიუროს წევრობიდან გაათავისუფლა ამხ. გ. ი. აბესაძე და მის ნაცვლად ბიუროს წევრად აირჩია ამხ. ნ. დ. ბუჯიაშვილი.

სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ირანის მოკავშირეობის ხელშეკრულების ხელმოწერის გამო

დარბაზობა თეირანში ხელშეკრულების ხელმოწერის აღსანიშნავად

თეირანი, 31 იანვარი (საკდესი). სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ირანის მოკავშირეობის ხელშეკრულების დადების აღსანიშნავად, აქ დარბაზობა შესდგა, რომელსაც დაესწრნენ ირანის პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი და ირანის მთავრობის ყველა წევრი, სსრ კავშირის ელჩი, დიდი ბრიტანეთის დესპანი და სხვ.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა სოჰეილმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც კმაყოფილება გამოსთქვა სსრ კავშირთან და დიდ ბრიტანეთთან მოკავშირეობის ხელშეკრულების დადების გამო. ფრიად მნიშვნელოვანია,—განაცხადა მან,—იმ დროს, როდესაც მსოფლიო ომის ცეცხლშია გახვეული და ომის ალი უფრო და უფრო ფართოვდება, ჩვენ ამ ხელშეკრულების დადებით ბარიერს ვუქმნით ამ ცეცხლს. ხელშეკრულება, უეჭველია, მოსპობს უწინდელ გაუგებრობას. ბ-ნმა სოჰეილმა იმედი გამოსთქვა, რომ ეს ხელშეკრულება შევსებულ იქნება ეკონომიური და სხვა ხასიათის მთელ რიგ ახალ ხელშეკრულებათა დადებით და რომ მოკავშირეთა შორის დაცული იქნება მეგობრობის საფუძვლები. მინისტრმა იმედი გამოსთქვა აგრეთვე, რომ მოკავშირეები ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს ირანის განვითარებას, და მადლობა გადაუხადა იმ წესრიგისათვის, რომელიც სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა მოახმარეს მოკავშირეობის ხელშეკრულების დადების საქმეს.

სსრ კავშირის ელჩმა ამხ. სმირნოვმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებას ჰიტლერიზმთან დემოკრატიული ქვეყნების ბრძოლისათვის და ირანის უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

დიდი ბრიტანეთის დესპანმა ბ-ნმა ბულერდმა თავის სიტყვაში განაცხადა, მოკავშირეებს მტკიცედ სწამთ, რომ თავიანთ მტრებზე გაიმარჯვებენო, და ხაზგასმით აღნიშნა დიდი მნიშვნელობა დადებული მოკავშირეობის ხელშეკრულებისა, რომელიც უზრუნველჰყოფს ირანის დამოუკიდებლობასა და მთლიანობას.

ირანის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა ფორუგიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელშეკრულების გამოქვეყნება ნათელს ხდის საქმეს, და რწმენა გამოსთქვა, რომ ამ ხელშეკრულების გულწრფელი შესრულება უფრო განამტკიცებს და უზრუნველჰყოფს ირანის უშიშროებას. ბ-ნმა ფორუგიმ მადლობა გადაუხადა სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთ, რომელთაც განაცხადეს თავიანთი მთავრობების გულწრფელი განზრახვანი, და სურვილი გამოსთქვა, რომ წარმატებით დამთავრდეს ახლანდელი სისხლისმღვრელი ომი.

ირანის პრესის კომენტარები

თეირანი, 31 იანვარი (საკდესი). თეირანის ყველა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილას გამოაქვეყნა ცნობა სსრ კავშირს, დიდ ბრიტანეთსა და ირანს შორის მოკავშირეობის ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ და ათავსებს ხელშეკრულების ხელისმომწერის სხვადასხვა მომენტის ფოტოსურათს. ირანის რადიოსადგურები დაწვრილებით გადასცემენ ხელშეკრულების შინაარსს, იძლევიან მის მეგობრულ კომენტარს და აქვეყნებენ იმ სიტყვების შინაარსს, რომლებიც სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ირანის წარმომადგენლებმა წარმოსთქვეს მოკავშირეობის ხელშეკრულების დადების აღსანიშნავად გამართული დარბაზობის დროს.

ბულგარეთი ჰიტლერელთა ქუსლქვეშ

სტამბოლი, 31 იანვარი (საკდესი). საქმეს გაცნობილი პირები, რომლებიც ამას წინათ ბულგარეთიდან ჩამოვიდნენ, გადმოგვცემენ, რომ უკანასკნელ ხანს კიდევ უფრო გაძლიერდა გერმანელთა კონტროლი ბულგარეთის ცხოვრების ყველა დარგზე, აგრეთვე მათი ზემოქმედება ბულგარეთზე, რათა იგი აიძულონ უშუალო მონაწილეობა მიიღოს ომში. გერმანელები ბულგარეთის მთავრობას უსაყვედურებენ, რომ არა მარტო ხალხში, არამედ მმართველ წრეებშიც ამ უკანასკნელ ხანს, განსაკუთრებით წითელი არმიის გამარჯვებათა შთაბეჭდილებით, გაძლიერდა სსრ კავშირისა და ინგლისის გამარჯვების იმედი და რომ ბულგარეთის მთავრობა ვითომ ძალიან უწევს ანგარიშ პრორუსულ სიმპატიებს ბულგარეთში.

არის ცნობები, რომ ბულგარეთის მთავრობას, ღერძის ქვეყნების წინაშე მთელი მისი მლიქვნელობის მიუხედავად, ამგვარივე საყვედურის მოსმენა უხდება რუმინეთისაგანაც, რომელმაც უკვე რამდენჯერმე მიმართა ბერლინს ბულგარეთის წინააღმდეგ საჩივრით და აღნიშნა, ბულგარეთი თავის ტერიტორიას ადიდებს, მათ შორის რუმინეთის ხარჯზედაც, მაგრამ ომში უშუალო მონაწილეობას არ იღებსო.

ბულგარეთის ჯარების მიერ სერბიის ოკუპაცია, რაც გერმანელთა მოთხოვნით ამჟამად მიმდინარეობს, და რაც გერმანელებს საშუალებას აძლევს გაიყვანონ იქიდან თავისი ჯარების ნაწილი, მეტად არაპოპულარულია ბულგარელ ხალხში და ბულგარელ ჯარისკაცთა მასებში, რომლებსაც არა სურთ შეასრულონ სხვა სლავი ხალხის ჩაგვრაში ჰიტლერელთა დამქაშის როლი.

ბულგარეთის ნამდვილი მდგომარეობა საკმაოდ კარგად დაახასიათა ფილოვმა „სამოქალაქო მობილიზაციის საბჭოს" წინაშე გამოსვლაში 21 იანვარს, როცა ბულგარეთის პრემიერმა განაცხადა, რომ „დღევანდელი დღის უდიდესი ამოცანა ორი ნაწილისაგან შესდგება, საქმე ეხება პურსა და ერის სულსო". და, მართლაც, გერმანელთა მიერ სურსათის მარაგის გატანა ბულგარეთიდან, არმიის მობილიზაცია, გერმანელთა სულ უფრო და უფრო მოურიდებელი პარპაში ბულგარეთში და რეპრესიები, რაც თანდათან ძლიერდება, ისეთ მდგომარეობას ჰქმნიან, რომლის დროსაც „ერის სულისკვეთება" სულ უფრო და უფრო ანტიჰიტლერული და მთავრობის საწინააღმდეგო ხდება. პურის რეკვიზიციისათვის შექმნილ შეიარაღებულ რაზმებთან გლეხების შეტაკებანი, რასაც ადგილი ჰქონდა ზოგიერთ სოფელში, მაგალითად, ძიენოგრადის მახრაში, მოწმობენ, რომ სოფლად მდგომარეობა სულ უფრო და უფრო დაძაბული ხდება. ქალაქებში ძალიან ხშირად ვრცელდება ფურცლები, რომლებიც მოუწოდებენ განდევნონ გერმანელები, იბრძოლონ ფაშიზმის წინააღმდეგ, ომის წინააღმდეგ, იბრძოლონ პურისა და ზავისათვის.

უკმაყოფილების ზრდის საპასუხოდ მთავრობა კიდევ უფრო მეტ რეპრესიებს მიმართავს. იანვარში მთავრობამ გამოსცა დადგენილება 20 საზოგადოებრივი ორგანიზაციის, მათ შორის რელიგიური ორგანიზაციების, დაშლის შესახებ იმის გამო, რომ ყველა ლეგალური ორგანიზაცია ომის საწინააღმდეგო განწყობილებათა კერები ხდება.

ბულგარეთის გაზეთები თითქმის ყოველ დღე იუწყებიან, რომ სამხედრო-საველე სასამართლოებს გამოაქვთ განაჩენები ჩამოხრჩობის შესახებ ისეთი მოქმედებისა და ლაპარაკისთვისაც კი, რაც „სახელმწიფოს საფუძვლებს ეწინააღმდეგება".

ჩამოხრჩობა ბულგარეთში ახლად არის შემოღებული, იგი ნასესხებია გერმანელთა პრაქტიკიდან, რასაც ოკუპირებულ ქვეყნებში იყენებენ. ტერორის, გერმანიის ჯარების არსებობისა და გესტაპოს აგენტურის მუშაობის მიუხედავად, ხალხის უკმაყოფილება თავს იჩენს ყველგან, კერძოდ, ისეთი ფორმით, როგორიცაა საბოტაჟი მთავრობის ღონისძიებათა მიმართ. ბულგარეთის პრესაში სულ უფრო და უფრო ხშირად იბეჭდება დაქირავებულ მჯღაბნელთა სტატიები, რომლებიც ხან მთლიანად ბულგარელ ხალხს, ხან ბულგარეთის ინტელიგენციას უსაყვედურებენ, რომ მათ არ გააჩნიათ „საბრძოლო სულისკვეთება" და ნდობით არ ეკიდებიან „ახალ წყობილებას".

სასურსათო მდგომარეობა ბულგარეთში კვლავ მკვეთრად უარესდება. 28 იანვრიდან შემოღებულია კვირაში ერთი უპურო დღე. სოფიაში გერმანელ სპეციალისტთა მონაწილეობით მუშაობს კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს პურში სხვადასხვა შემცვლელების შერევის ახალი საშუალებანი. სოფლიდან პურის გატანას უკანასკნელ დროს დაერთო სურსათის საყოველთაო შემოწმება და ჩამორთმევა ქალაქის მცხოვრებთათვის. ქალაქის მოსახლეობისათვის სათბობის მიწოდება შეწყვეტილია, ვინაიდან ბულგარეთის თითქმის მთელი სათბობი მარაგი იტალიაში გაზიდეს.

შიმშილისა და სიცივის პირობებში ჩნდება სხვადასხვა ეპიდემიები, ხშირდება ტიფით დაავადება.

ჰიტლერელთა კარნახით ბულგარეთის პრესა რიხიანად ლაპარაკობს „დიდი ბულგარეთის" შესახებ და „ახალი წყობილების შექმნაში ბულგარეთის „საპატიო" როლის შესახებ", რაც ასეთ პირობებში მხოლოდ დაცინვასა და გაბოროტებას იწვევს ხალხში.

გერმანიისა და იტალიის აგენტების ძირგამომთხრელი მუშაობა ახლო აღმოსავლეთში

სტამბოლი, 2 თებერვალი (საკდესი). ავტორიტეტული წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, თურქეთის ხელისუფალნი გამოძიებას აწარმოებენ იმის შესახებ, თუ როგორ გაიქცა ბერლინში რაშიდ ალი ჰაილანი. ამ ცნობების თანახმად, გამოძიებამ გამოარკვია, რომ ჰაილანმა გასული წლის შემოდგომაზე სტამბოლში ჩასვლისთანავე გაშალა „ერთ-ერთი უცხო სახელმწიფოს" წარმომადგენელთან მჭიდრო კონტაქტით აქტიური მოღვაწეობა, რათა ერაყისა და სხვა ახლო აღმოსავლეთელ ემიგრანტთა კადრებისათვის მოეყარა თავი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ძირგამომთხრელი მუშაობის გასაწევად.

როგორც ცნობილია, ღერძის სახელმწიფოთა აგენტურა 1940 წლის გაზაფხულიდან ცდილობს შინაური არეულობა გამოიწვიოს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში და მოიშოროს ამ ქვეყნების დიდი პოლიტიკური მოღვაწეები, რომელთაც ღერძის სახელმწიფოთა მოწინააღმდეგეობა გამოიჩინეს. მაგალითად, 1940 წლის დამდეგს ბაღდადში რევოლვერით მოჰკლეს ერაყის ფინანსთა მინისტრი რუსტამ ჰაიდარი. გამოძიებამ, რომელიც მაშინ მოახდინეს ერაყის ხელისუფლებმა, ცხადჰყო, რომ ფინანსთა მინისტრის მკვლელობა აჯანყების სიგნალი უნდა ყოფილიყო; ამ აჯანყების მოწყობა განზრახული ჰქონდა ბაღდადში არსებულ იტალიის დიპლომატიურ მისიასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ერაყის სამხედრო წრეების ზოგიერთ წარმომადგენელს.

1940 წლის მაისს მექაში აღმოაჩინეს შეთქმულება საუდეთის მეფე იბნ საუდის წინააღმდეგ; შეთქმულება მოაწყო საუდეთის არაბეთის ერთ-ერთმა პოლიტიკურმა მოღვაწემ აბდულ ჰამიდმა. ამ საქმის გამოძიებისას გამოირკვა, რომ აბდულ ჰამიდმა 1939 წლის ზაფხული გერმანიაში გაატარა და აჯანყების გამზადებული გეგმით დაბრუნდა ბაღდადს. ღერძის სახელმწიფოების აგენტურა უკანასკნელ დრომდე ცდილობდა მოეშორებინა მეფე იბნ საუდი, და, როგორც ცნობილია, საუდეთის არაბეთის მთავრობამ ამ რამდენიმე თვის წინათ სწორედ ამ მიზეზით გადასწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა გაეწყვიტა გერმანიასთან და გაეძევებინა გერმანიის დესპანი გრობი.

თურქეთის ხელისუფლების მიერ ჰაილანის საქმეზე წარმოებული გამოძიების შედეგი ჯერჯერობით გამოურკვეველია. სტამბოლსა და ანკარაში დაპატიმრებულია 20-მდე კაცი, მათ შორის რამდენიმე უცხოელი, რომელთაც მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ რაშიდ ალი ჰაილანისთან.

ომი წყნარ ოკეანეში

ამერიკის ცნობები

ნიუ-იორკი, 2 თებერვალი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში ამერიკის ფლოტმა მოულოდნელად მიიტანა იერიში იაპონიის საზღვაო და საავიაციო ბაზების წინააღმდეგ მარშალის კუნძულებსა და ჯილბერტის კუნძულებზე. იერიში ერთსა და იმავე დროს იქნა მიტანილი ზღვიდან და ჰაერიდან. ჩაძირული ან დაზიანებულია ბევრი დამხმარე გემი. ჰაერიდან და ზღვიდან დაბომბვის შედეგად დანგრეულია სანაპირო ნაგებობანი. მიწაზე და ჰაერში მოსპობილია იაპონიის ბევრი თვითმფრინავი.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ ფილიპინებზე იაპონიის ჯარებმა რამდენჯერმე გადამწყვეტი იერიში მიიტანეს ამერიკისა და ფილიპინის ჯარების პოზიციების წინააღმდეგ ბატაანის ნახევარკუნძულზე (ლუსონის კუნძული). ბრძოლებს მეტად შეუპოვარი ხასიათი აქვს, მაგრამ ამერიკის ჯარები მტკიცედ ინარჩუნებენ თავის პოზიციებს. მტერს მნიშვნელოვანი ზარალი მოუვიდა.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 2 თებერვალი (საკდესი). ინგლისის სინგაპურის სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ გუშინ ინგლისის არტილერია გაძლიერებით უშენდა იაპონიის ნაწილებს, რომლებიც ჯოხორ-ბარუს რაიონში მიმოდიოდნენ. იაპონიის სამმა მცირე გემმა რამდენიმე პუნქტში სინგაპურის სანაპიროს ესროლა. ერთი გემი ჩაძირულ იქნა.

ინგლისის რანგუნის სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ მოულმეინის რაიონიდან ინგლისის ჯარების უკანდახევის შემდეგ ფრონტზე მდგომარეობა სტაბილური გახდა.

ჰოლანდიის ინდოეთის სარდლობის ცნობები

ნიუ-იორკი, 2 თებერვალი (საკდესი). ჰოლანდიის ინდოეთის სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ბრძოლა გრძელდება ყველა იმ რაიონში, სადაც იაპონიის დესანტები გადასხდნენ.

იაპონიის ცნობები

ტოკიო, 2 თებერვალი (საკდესი). ოფიციალური ცნობებით, 31 იანვარს იაპონიის ავიაციამ ბანკის სრუტეში, სუმატრის კუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროსთან, იერიში მიიტანა მოკავშირეთა გემების ქარავანზე. იმავე დღეს იაპონიის ავიაცია თავს დაესხა სინგაპურს, 1 თებერვალს დილაადრიან, ამერიკის ფლოტი მარშალის კუნძულების რაიონში გამოჩნდა. ამ ფლოტის წინააღმდეგ იერიში მიიტანეს იაპონიის გემებმა, რის შედეგადაც მტრის ერთ კრეისერზე ხანძარი გაჩნდა. იაპონიის გემები უმნიშვნელოდ დაზიანდა. 31 იანვარს გათენებისას ამბოინის კუნძულზე (მოლუკის კუნძულები) დესანტი გადასხეს.

საშინაო სიძნელეთა მკვეთრად გამწვავება გერმანიაში

ნიუ-იორკი, 2 თებერვალი (საკდესი). როგორც გაზეთ „კრისჩენ საიენს მონიტორის" სტამბოლელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, გერმანიიდან და მის მიერ ოკუპირებული ქვეყნებიდან გერმანიის მიერ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ომის გამოცხადების შემდეგ ჩამოსული ჟურნალისტები იუწყებიან, რომ ყველა ამ ქვეყანაში ძლიერდება უკმაყოფილება და ანტიგერმანული საბოტაჟი. ჟურნალისტები აღნიშნავენ: უკმაყოფილება იმდენად გაძლიერდა, რომ იგი თავისი მნიშვნელობით ჰიტლერის წინააღმდეგ კიდევ ერთ ფრონტს უდრის. ამერიკის ყოფილმა სოფიელმა დესპანმა ერლმა კორესპონდენტს განუცხადა, რომ ჰიტლერელთა პროპაგანდა გერმანელ ხალხს უმალავს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გერმანელთა მიერ განცდილ დამარცხებას.

ამ უკანასკნელ ხანს მთელ გერმანიაში და განსაკუთრებით ბერლინში სურსათის გაცემის ნორმები განუწყვეტლივ მცირდება. ტანისამოსის შოვნა შეუძლებელია. ყველა ერზაცებისაგან შეკერილ ტანისამოსს ატარებს. გერმანიაში თითქმის ყოველმა ოჯახმა დაჰკარგა მამა, ქმარი ან ვაჟი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, [illegible] სასოწარკვეთილებას მოსახლეობაში. [illegible]ჩის გადაყენებისა და ამ პოსტზე ჰიტლერის მიერ თავისი თავის დანიშვნის შემდეგ ბევრი გერმანელი ინტელიგენტი აცხადებდა, გერმანია ახლა სავსებით ფსიქოპატის ხელშიაო.

ჟურნალისტებმა განაცხადეს აგრეთვე, რომ ამას წინათ ვენაში, ხელის გრანატების დამამზადებელ ქარხანაში დიდი გაფიცვა მოხდა. როცა ხელისუფალნი შეეცადნენ აიძულებინათ მუშები განეგრძოთ მუშაობა, უკმაყოფილებმა ქარხანას ცეცხლი წაუკიდეს, და იგი მთლიანად მოსპობილია. ავსტრიის ოკუპაციის შემდეგ გერმანელებმა დუნაიზე დიდი ნავთსაცავები ააგეს. ამას წინათ ავსტრიელმა პატრიოტებმა ნავთსაცავები გაბურღეს და მთელი ნავთი დუნაიში გაუშვეს. მოდის ცნობები აგრეთვე იმის შესახებ, რომ მღელვარებაა თვით გერმანიაში. ორი კვირის წინათ შტუტგარტში პოლიცია ცდილობდა დაეპატიმრებინა ერთი ქალი, რომელიც პურის რიგში იდგა. რიგში მდგომი სხვა ქალები თავს დაესხნენ პოლიციელებს და რამდენიმე მათგანი დასჯრეს.

ხალხის მღელვარება საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში

სტოკჰოლმი, 2 თებერვალი (საკდესი). შვეციის პრესა იუწყება, რომ საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში მწვავდება ხალხის სერიოზული მღელვარება, რაც იანვრის შუა რიცხვებიდან დაიწყო. დამშეული მოსახლეობა მოითხოვს სურსათს და გერმანელი ოკუპანტებისა და ჰიტლერელი აგენტების განდევნას საფრანგეთიდან. ამ მოთხოვნების საპასუხოდ ვიშის მთავრობა საპოლიციო ტერორს აძლიერებს. სამხრეთ საფრანგეთის ბევრი ქალაქის ქუჩებში პოლიციასთან შეტაკება ხდება. როგორც შვეციის გაზეთები აღნიშნავენ, ენისა და გარის დეპარტამენტების მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებში, აგრეთვე დიდ ქალაქ ავინიონში მდგომარეობა ხელისუფლებისათვის კრიტიკული ხდება.

იტალია ჩიხში მოემწყვდა

ნიუ-იორკი, 2 თებერვალი (საკდესი). გაზეთ „ჩიკაგო დეილი ნიუსის" კორესპონდენტი, რომელიც ამასწინათ დაბრუნდა ცენტრალური ევროპიდან, სწერს, რომ იტალიის მდგომარეობა ამჟამად ნაკლებად განსხვავდება ჰიტლერელთა მიერ ოკუპირებული ქვეყნების მდგომარეობისაგან. იტალიაში გერმანელებმა მოახდინეს სურსათისა და სხვა საქონლის რეკვიზიცია. იტალიელი ხალხი ყრუ უკმაყოფილებას გამოსთქვამს. იგი ომმა დაღალა და მოკავშირეთა გამარჯვების იმედით ცხოვრობს. გერმანელებისადმი უკმაყოფილებამ იტალიის უმაღლეს სამხედრო წრეებშიც კი იჩინა თავი. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ უკვე შემოდგომიდან იტალიელებმა დაიწყეს იტალია-გერმანიის საზღვრის გამაგრება.

იტალია უაღრესად მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში ჩავარდა. იტალიის მოსახლეობა დამშეულია. გაზეთი აღნიშნავს, რომ უახლოეს დროში პურის გაცემის დღიური ნორმა 50 გრამამდე შემცირდება.

ნორვეგიელი ხალხის უმაგალითო აბუჩად აგდება

გერმანელებმა კვისლინგი ნორვეგიის „პრემიერ-მინისტრად" დანიშნეს

სტოკჰოლმი, 2 თებერვალი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო და რადიოოსლოდან იუწყებიან, რომ გერმანიის საოკუპაციო ხელისუფალთა გადაწყვეტილებით, ნორვეგიის „პრემიერ-მინისტრად" დანიშნულია კვისლინგი.

სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, ჰიტლერის ნაცვალი ნორვეგიაში ტერბოვენი და კვისლინგი ბერლინს ჩავიდნენ, სადაც შემუშავებულ იქნა გერმანელთა მიერ ოკუპირებული ნორვეგიის „ახალი სტატუტი".

ამრიგად, ყველა ნორვეგიელისათვის საძულველი გამცემი, ვისი სახელიც ევროპის ყველა ოკუპირებული ქვეყნის უსაძაგლესი დაქირავებული ჰიტლერელი აგენტების საზოგადო სახელად იქცა, „პრემიერ-მინისტრად" გამოაცხადეს.

ადგილობრივი პოლიტიკური წრეები აღნიშნავენ, რომ გერმანელთა საოკუპაციო პოლიტიკის ამ ახალი ფანდის მიზეზს წარმოადგენს ჰიტლერელთა შეშფოთება ნორვეგიაში ანტიგერმანული მოძრაობის ზრდის გამო და განზრახვა—უფრო ფართოდ გამოიყენონ კვისლინგელები ნორვეგიელი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

„ნორვეგიის მთავრობის" შექმნის საბაბით, გერმანელებს სურთ ძალა-უფლება მიანიჭონ კვისლინგელებს ნორვეგიის პატრიოტული მოძრაობის ჩასახშობად. პოლიტიკური წრეების აზრით, კვისლინგური „მთავრობის" შექმნა მოსამზადებელი ნაბიჯი იქნება იმისათვის, რომ ნორვეგია საბოლოოდ გადააქციონ ჰიტლერის გერმანიის კოლონიად.

დაიწყო პროფკავშირულ-კომკავშირული კროსი

1 თებერვალს დაიწყო წითელი არმიის XXIV წლისთავის სახელობის პროფკავშირულ-კომკავშირული კროსი. პირველ დღეს ქალაქ თბილისიდან კროსში მონაწილეობა მიიღო 9 ათასზე მეტმა კაცმა. აქედან მათ პირველი საფეხურის ნორმები ჩააბარა 3.074 კაცმა, მათ II საფეხურის ნორმები—671 კაცმა, ხოლო იმათ ნორმები—2.400 კაცმა.

რაიონებს შორის კროსი უფრო ორგანიზებულად ჩაატარა 26 კომისრის სახელობის რაიონმა. კროსში მონაწილეობა მიიღო სულ 1.857 კაცმა. აქედან ნორმები შეასრულა 1.237 კაცმა. აღნიშნულ რაიონში თავი ისახელა 64-ე სკოლამ. მთლიანად სკოლამ დისტანცია დაფარა მოცემულ ვადაზე 42 წუთით ადრე. ლენინის სახელობის რაიონიდან კროსში მონაწილეობა მიიღო 1.482 კაცმა, აქედან მოცემული დისტანცია დაფარა 1.013 კაცმა. ორჯონიკიძის სახელობის რაიონიდან სტარტზე გამოვიდა 1.746 კაცი.

უნდა აღინიშნოს, რომ კროსის პირველ დღეს ადგილი ჰქონდა მთელ რიგ დეფექტებს. კროსის მონაწილეთა შორის არაორგანიზებულობისა და დისციპლინის დარღვევის ფაქტებს ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით ბერიასა და მოლოტოვის რაიონში. არასწორად მოიქცა მსაჯთა კოლეგია ორჯონიკიძის სახელობის რაიონში. აქ, მიუხედავად იმისა, რომ კროსის მონაწილეთა შორის იყვნენ ჩამორჩენილნი, მსაჯთა კოლეგიამ მათ ნორმები ჩაუთვალა. შეჯიბრების წესების დარღვევის ფაქტებს ადგილი ჰქონდა კიროვის სახელობის რაიონშიც.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1527351, გაცემული ისიდორე გრიგოლის-ძე უჩაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1545832, გაცემული გალაქტიონ გიორგის-ძე ბანძელაძის სახელზე დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ლექცია

4 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის სახელობის რაიაგიტპუნქტში (ა.-კ. ფედერაციის ქ., № 2) ამხ. ჟორჟოკაშვილი წაიკითხავს ლექციას თემაზე: „საბჭოთა ხალხის სამამულო ომი".

თეატრებში

სახოპერა—4 თებერვალს — „ქეთო და კოტე", 5 თებერვალს—„ჩიო-ჩიო-სან". **რუსთაველის სახელობის**—4 თებერვალს — „ღალატი", 5 თებერვალს—„რღვევა", **მარჯანიშვილის სახელობის**—4 თებერვალს — „ხოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი", 5 თებერვალს — „მარგარიტა გოტიე", **სანკულტურის** — 5 თებერვალს — „ოქროს ვერძი", **მუსიკალური კომედიის** — 4 თებერვალს „საქორწინო მოგზაურობა", 5 თებერვალს — „ცისფერი კლდეები".

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. და დამკვრელი — „საბრძოლო კინოკრებული № 7", **ოქტომბერი**—„ინჟინერ კოჩინის შეცდომა", **კომკავშირელი**—„დიდი ვალსი", **სპარტაკი** — „მეგობრები", **ლუქსემბურგის სახ.**—„მიგდებული ბავშვი", **კომინტერნი** — „ვოლგა-ვოლგა", **მეცნიერება და ცოდნა** — „მეზღვაურები", **26 კომ. სახ.** —„კარო".

ახალი კინოფილმები

წელს საბჭოთა კინომრეწველობა გამოუშვებს მთელ რიგ ახალ ფილმებს. ახლო ხანში რეჟისორი გ. როშალი დაიწყებს მუშაობას ფილმზე, რომელიც ასახავს კალიჭამია ჰიტლერის პოლიტიკური კარიერის დასაწყისს.

რეჟისორი ვ. პუდოვკინი დადგამს ფილმს ანტიფაშისტი მწერლის ბ. ბრეხტის ნოველების მიხედვით.

რეჟისორი ს. ეიზენშტეინი ამზადებს სცენარს ფილმისათვის ივანე გროზნის შესახებ.

მწერალი მიხ. ზოშჩენკო რეჟისორ გ. ალექსანდროვთან ერთად მუშაობს სცენარზე კომედიური ფილმისათვის.

მთავრდება სცენარი ფილმისათვის „ნადეჟდა დუროვა", რომელიც ასახავს პირველი სამამულო ომის გმირი ქალის ცხოვრებას. ამ ფილმს გადაიღებს რეჟისორი ვ. სტროევა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

დაიწყო მიღება თბილისის სახელმწიფო ფარმაცევტულ ინსტიტუტში ქართულ და რუსულ სექტორებზე

ინსტიტუტი ამზადებს უმაღლესი კვალიფიკაციის ფარმაცევტებს. კურსდამთავრებულნი იგზავნებიან ხელმძღვანელ თანამდებობაზე აფთიაქებში, საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიებში და ფარმაცევტულ ქარხნებში.

სწავლის ხანგრძლივობა ინსტიტუტში 4 წელი.

ინსტიტუტში მიიღებიან სსრკ მოქალაქენი ასაკით 17-დან 35 წლამდე. უგამოცდოდ მიიღებიან ის პირნი, ვინც 1941 წ. დაამთავრა სრული საშუალო სკოლა და აგრეთვე ის პირნი, ვინც წარჩინებით დაამთავრა საშუალო ფარმაცევტული და სამედიცინო სკოლა.

ის პირები, ვისაც საშუალო სკოლა დამთავრებული აქვს 1940 წ. და წინათ და აგრეთვე ვისაც დამთავრებული აქვს ფარმაცევტული და სამედიცინო სკოლა, ტექნიკუმი, მუშფაკი, მოზრდილთა საშუალო სკოლა, ან აქვთ საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი ექსტერნატის წესით, მიიღებიან ინსტიტუტში მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ.

მისაღები გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: 1. ფიზიკაში, 2. ქიმიაში, 3. ქართულ ენაში (წერა და ზეპირი), 4. რუსულ ენაში (წერა და ზეპირი).

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემდეგი მისამართით: პეროვსკაიას ქ. № 22, შემდეგი საბუთების დართვით: 1. ავტობიოგრაფია, 2. საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), 3. ფოტოსურათი 3 ცალი (ზომით 4×3 სანტ.), 4. სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულება (სამხედრო ვალდებულთათვის), 5. პასპორტი (წარედგინება პირადად).

განცხადებები მიიღება 8 თებერვლამდე. საექიმო შემოწმება 10 თებერვალს.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 10 თებერვლიდან 15 თებერვლამდე, ჩარიცხვა 16 თებერვლიდან 17 თებერვლამდე.

მეცადინეობა ინსტიტუტში დაიწყება 18 თებერვლიდან.

ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში, პეროვსკაიას ქუჩა № 22, ყოველდღე, გარდა კვირა დღისა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 5 საათამდე.

16

თბილისის მე-35 სკოლის პედკოლექტივი იუწყება მე-3 კლასის მოსწავლის **საშა გერასიმეს-ძე ცხვირავაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 5/II 6 ს. გოგოლის ქ. № 50, პანაშვიდი 4/II 7 ს.

თბილკავშირუნივერმაღის საკასო აპარატი იუწყება **ნინო ელიზბარის-ასულ ახვლედიანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 4/II 5½ ს. ბარნოვის ქ. № 15 ვაკის სასაფლაოზე.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.

უე 186